ვინც მოიტანს ცრუ ფიცს (ალლაჰის სახელით), რათა ამ გზით მიითვისოს მუსლიმის ქონება, ის ალლაჰს შეხვდება ისე, რომ ალლაჰი გაბრაზებული იქნება მასზე

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ მას'უდისგან (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) რომელმაც თქვა: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც მოიტანს ცრუ ფიცს (ალლაჰის სახელით), რათა ამ გზით მიითვისოს მუსლიმის ქონება, ის ალლაჰს შეხვდება ისე, რომ ალლაჰი გაბრაზებული იქნება მასზე». ალ-აშ'ასმა თქვა: "ვფიცავ ალლაჰს, სწორედ მე გავხდი მიზეზი, რომ ამ თემაზე აიათი გარდმოევლინა. მე და ერთ იუდეველს მიწის ნაკვეთის გამო დავა გვქონდა. ის უარყოფდა ჩემს უფლებას ამ მიწაზე, და მე მივედი მასთან ერთად მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას). მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მკითხა: "გაქვს რაიმე მტკიცებულება?" ვუპასუხე: "არა". მაშინ მან უთხრა იუდეველს: "დადე ფიცი". მე შევწინააღმდეგდი: "ო, ალლაჰის შუამავალო! ის ხომ ახლა დადებს ფიცს და მიითვისებს ჩემს ქონებას!" მაშინ უზენაესმა ალლაჰმა გარდმოავლინა აიათი: "ჭეშმარიტად, ვინც ყიდის ალლაჰთან დადებულ აღთქმას და დადებულ ფიცს (არღვევს) მცირე საფასურად, წილი არ ექნებათ საიქიოში, არ დაელაპარაკება მათ ალლაჰი და არ შეხედავს მათ განკითხვის დღეს, და არ განწმენდს. და მათთვისაა მტანჯველი სასჯელი!"(ალი იმრან: 77)».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააფრთხილა იმის შესახებ, რომ არ შეიძლება ალლაჰის სახელით ფიცი, თუ ადამიანი შეგნებულად ცრუობს, რათა სხვისი ქონება მიითვისოს. ასეთი ადამიანი წარდგება ალლაჰის წინაშე იმ მდგომარეობაში, როცა ალლაჰი განრისხებულია მის მიმართ. აშ'ას იბნ ყაისმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცა, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ეს სიტყვები მაშინ თქვა, როცა მას და ერთ ებრაელს შორის კამათი მოხდა მიწის მფლობელობაზე. ისინი მივიდნენ მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საქმის გადაწყვეტისათვის, და მოციქულმა უთხრა აშ'ას: შენ უნდა წარადგინო მტკიცებულება რათა დაამტკიცო, რასაც ითხოვ, თუ მტკიცებულების წარდგენა არ შეგიძლია, მაშინ შენ მხოლოდ შენი მოწინააღმდეგის ფიცს ფლობ, აშ'ასმა თქვა: ო ალლაჰის შუამავალო, ებრაელი კაცი თუ დაიფიცებს მას არ მოერიდება არაფრის და წაიღებს ჩემს ქონებას, უზენაესმა ალლაჰმა კი ამის დასტურად გარდმოავლინა წმინდა ყურანში თავისი სიტყვები: {ჭეშმარიტად რომლებიც ყიდიან} ცვლიან {ალლაჰთან დადებულ პირობას} მისი დარიგებაა მორწმუნეებს აღებული ამანათის უკან დაბრუნება {და თავიანთ ფიცს} მათ დადებულ ფიცს ტყუილზე {მცირე ფასად} ამქვეყნიური რამის ფასად {მაგათ არ ექნებათ წილი იმქვეყნად} არ ექნებათ წილი, {და არ დაელაპარაკება მათ ალლაჰი} სიტყვებით, რომელიც მათ გაახარებს და სარგებელს მოუტანს, პირიქით გაბრაზდება მათზე, {და არ შეხედავს მათ განკითხვის დღეს}, წყალობის და ლმობიერების შეხედვით, {და არ განწმენდს მათ} კარგი შექებით, და არ განწმენდს მათ თავიანთი ბინძური ცოდვებისგან მიტევებით, {მათთვისაა მტკივნეული სასჯელი} მტანჯველი სასჯელი იმის გამო, რაც ჩაიდინეს.